



„სილამაზის გამოცხადება“



ძვირფასო,

სწორედ ამ დღეებში გადავანყდი ფრაზას, რომელმაც გამაკვირვა, დამაფიქრა და გამახარა: „გიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, გამოუცხადო იმას, ვინც გიყვარს, მისი სილამაზე“. მაშინვე ვიფიქრე, რომ ასეთი რამ უნდა წამოსცდენოდა და დაენერა იმას, ვინც შობის საიდუმლოს სჭვრეტდა-მეთქი. დიახ, ესაა შობის მცირე, თუმცა უმშვენიერესი, ღრმა სინთეზი. შობა ავლენს ღვთის სიდიადეს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენს მშვენიერებასაც. საკუთარი შობით ღმერთმა შეგვიყვარა და აღმოგვაჩენინა ჩვენი მშვენიერება!

ამ დღეებში უნდა გაგვიადვილდეს ფიქრი ადამიანად ყოფნის სიდიადისა და მშვენიერების შესახებ, რაკი თავად ღმერთმა ინება გამხდარიყო ადამიანი! ღმერთმა იმდენად შეიყვარა ჩვენი კაცობრიობა, რომ ინება სრულად გამხდარიყო მისი ნაწილი! როდისაა ხოლმე ადამიანი ნამდვილად ლამაზი? ლამაზი ადამიანი იესოა, ვინაიდან ის სრულადაა ადამიანი, მამის ჩანაფიქრისამებრ, „მის ხატად და მსგავსად“, ისეთი, როგორიც გვინატრა შემოქმედმა. თუმცა მეც, როდესაც ვდგები ღარიბთა და ღატაკთა მხარეს, როდესაც ვეძებ სამართლიანობას, როდესაც მხარს დავუჭერ მას, ვისაც გასაჭირი ადგას, როდესაც ვარ მშვიდი, მშვიდობისმოყვარი, როდესაც გული სპეტაკი მაქვს, როდესაც ცრემლს ვღვრი, რათა შენს ტირილს დავუახლოვდე, როდესაც მზად ვარ, სიკვდილსაც კი არ შევეშინდე ყოველივე ამისათვის... მაშინაა, რომ ვემსგავსები იესოს, „მისი ხატი და მსგავსი ვარ“. თუმცა, იესოსავით ვარ მაშინაც, როდესაც მჭირდება სიბორო, საკვები, ძილი, მუსიკის მოსმენა, შეწყნარება, ღიმილი, მოფერება... იესოსავით ვარ ჩემი არსებობის ყველაზე ბანალურ და ყოველდღიურ მოვლენებშიც. იესო გახდა ადამიანი, ჩემი მსგავსი, და ყოველივე, ყოველდღიურიც კი, ხდება ძვირფასი. რაც ადამიანურია, ყოველივე, რაც ადამიანურია, ღვთის გულშია და მის სიყვარულში.

თუკი ადამიანი ღვთის გულში ყოფილა, თუკი ყოველი ადამიანი ძვირფასი ყოფილა ღვთისთვის, მაშინ შესაძლებელი ყოფილა მისთვის დაბადება და სიკვდილი, მაშინ ღმერთსაც შესძლებია გაადამიანურება და მეორე ადამიანისთვის სიკვდილი!

უმზირე ამ ბავშვს და იფიქრე, რა ლამაზი ხარ!

ვინც არ უნდა იყო, ადამიანო, იესო დაიბადა იმის გამო, რომ ლამაზი ხარ! იესოს თვალში უმშვენიერესი ხარ!

ხო, მართლა! უცხადებ კი სხვებს მათ სილამაზეს? როდის? როგორ?

გილოცავ შობას!

მეუფე ჯუზეპე პაპოტო

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი



SABAMEDIA

THE MEDIA OF THE CATHOLIC CHURCH IN GEORGIA
კათოლიკე ეკლესიის მედია საერთაშორისორუბრიკა მოამზადა რუსუდან
ავალიშვილმა

წმიდა პეტრეს მოედანი საშობაოდ მოირთო

5 დეკემბერს ვატიკანის წმიდა პეტრეს მოედანი საშობაოდ მოირთო. 26 მეტრიანი ნაძვის ხე ვიჩენცადან ჩამოიტანეს. ბაგის ფიგურები ხისგანაა დამზადებული და ტრენტინო-ალტო-ადიჯეს რეგიონში მდებარე კომუნის, სკურელეს მცხოვრებლებს ეკუთვნის. ფიგურები ნატურალური ზომისაა და სკურელეს მკვიდრთა ოჯახურ რელიკვიებს წარმოადგენს. შარშან რეგიონს საშინელი წყალდიდობა დაატყდა და მრავალი ხე გაანადგურა. როგორც ამ სტიქიის ერთგვარი გახსენება, კომპოზიციაში წყალდიდობისას მოტეხილი ხის ტოტები ჩაამატეს. ნაძვის ხე და ბაგა წმიდა პეტრეს მოედანს მომავალი წლის 12 იანვრამდე

დაამშვენებს. „ნუ დავუშვებთ იმას, რომ შობის ეს მშვენიერი სიმბოლო დავიწყებას მიეცეს, დაიკარგოს. მშობლებმა ბაგის მოწყობის ტრადიცია შვილებს უნდა გადასცენ, ბებია-ბაბუებმა - შვილიშვილებს“, - აღნიშნა უწმიდესმა ფრანცისკემ ბაგის ორგანიზატორებთან შეხვედრისას.

საშობაო ბაგის გამოფენა

8 დეკემბერს ვატიკანში, პიუს მეათის დარბაზში, „100 ბაგის გამოფენა“ გაიხსნა. ექსპოზიციის გახსნისას ბუდაპეშტის კამერულმა ახალგაზრდულმა ქორუმ საშობაო სიმღერები და საგალობლები შეასრულა. 9 დეკემბერს გამოფენას უწმიდესი ფრანცისკეც ეწვია, ექსპონატები დაათვალიერა და ნამუშევრების ავტორებს გაესაუბრა.

ვატიკანის I კრების გახსნის 150 წლისთავი

150 წლის წინ, 1869 წლის 8 დეკემბერს პაპმა პიუს IX-მ გახსნა კათოლიკე ეკლესიის კრება, რომელიც ისტორიაში ვატიკანის I კრების სახელითაა ცნობილი. კრებაზე რამდენიმე დოგმატური და კანონიკური საკითხის განხილვა იგეგმებოდა, თუმცა იტალიის სამეფოს მიერ რომის დაპყრობის გამო კრების მამები იძულებულები გახდნენ, სხდომები შეეწყვიტათ. ამიტომ მიღებულ იქნა მხოლოდ ორი დოკუმენტი, მათ შორის, დოგმატური კონსტიტუცია Pastor aeternus, რომლის თანახმად ღმრთის ეკლესიაში იურისდიქციული პირველობა (primates iurisdictionis) რომის ეპისკოპოსს ეკუთვნის და, რო-



გორც ეკლესიის პირველი მოძღვარი და ხელმძღვანელი, იგი უცდომელია.

ხორხე ბარბოლიოს მღვდლობის 50 წელიწადი

1969 წლიდან 8 დეკემბერს კორდობას მთავარეპისკოპოსმა რამონ ხოსე კასტელიანომ ხორხე მარიო ბერგოლიო მღვდლად აკურთხა. მას შემდეგ 50 წელიწადი გავიდა. თავის საგანგებო მიმართვაში კარდინალმა მოუწოდა მორწმუნეებს, 8 დეკემბერს ელოცათ პაპი ფრანცისკესათვის. სწორედ ეს სთხოვა უწმიდესმა პაპმა თავის სამწყსოს აღსაყდრების დღეს და მას შემდეგ არაერთხელ გაუმეორებია ეს თხოვნა.

კათოლიკური კინოთეატრების ასოციაცია 70 წლისაა

7 დეკემბერს უწმიდესი ფრანცისკე კათოლიკე კინოთეატრების ასოციაციის წევრებს შეხვდა. „კინო შესანიშნავი იარაღია ადამიანთა გაერთიანებისათვის. ომის შემდგომ პერიოდში კინემატოგრაფს დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივი სტრუქტურის აღდგენაში. იგი აღვივებდა იმედს ჩამქრალ გულებში, ეხმარებოდა მაყურებელს ტრაგედიებით განწყვეტილი ურთიერთობების განახლებაში და მტრობის დაძლევაში. ომის შემდგომი

კინემატოგრაფი ნამდვილი ჰუმანიზმის სკოლა იყო. თქვენ ამ სკოლის მემკვიდრეები ხართ და მათი საქმე უნდა გააგრძელოთ. მაგრამ, ამასთანავე, თქვენი ხედვა თამამი უნდა იყოს, სიახლეს არ უნდა გაექცეთ“, - უთხრა სტუმრებს უწმიდესმა პაპმა.

ქმობის მსოფლიო ღლე

„ადამიანთა შორის ქმობისა და მშვიდობის დამყარების დოკუმენტის“ გეგმისა და მიზნების განხორციელებისთვის შექმნილი საგანგებო კომიტეტის წევრები გაეროს გენერალურ მდივანს შეხვდნენ და პონტიფიქსისა და ალ-აზჰარის დიდი იმამის ერთობლივი მიმართვა გადასცეს. წერილში უწმიდესმა ფრანცისკემ და იმამმა გამოთქვეს თხოვნა, რომ 4 თებერვალი საყოველთაო ქმობის დღედ გამოცხადდეს. ანტონიო გუტერეშმა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ამ ინიციატივას და მზადაა, ილვანოს მისი განხორციელებისათვის.

უწმიდესი ფრანსისკეს მიმართვა გაეროს კონფერენციის მონაწილეებს

2-13 დეკემბერს მადრიდში კლიმატის პრობლემებისადმი დაკავშირებული კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის გახსნისას ვატიკანის





სახელმწიფო მდივანმა პიეტრო პაროლინმა უწმიდესი პაპის საგანგებო მიმართვა წაიკითხა. პონტიფექსმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ „კლიმატის ცვლილებათა გამოწვევების პირისპირ საერთაშორისო საზოგადოებრიობის სიტყვები ჯერ კიდევ შორსაა კონკრეტული მოქმედებებისგან, სახელმწიფოთა მიერ დაკისრებული ვალდებულებები კი არ სრულდება ისე, რომ მიღწეულ იქნას პარიზის შეთანხმებით დასახული მიზნები“.

„სიყვარული ჭეშმარიტებით“. 10 წლის შემდეგ

3 დეკემბერს ვატიკანში ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკის „სიყვარული ჭეშმარიტებით“ გამოქვეყნების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. სააგენტო Vatican News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კარდინალმა ტარქსონმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი შთაგონების წყაროა და სახელმძღვანელოა ადამიანის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის დიკასტე-

რიისთვის. „ენციკლიკაში ხაზგასმულია, რომ ჭეშმარიტი განვითარება მხოლოდ ერთა განვითარება კი არ არის, არამედ ყოველი პიროვნებისა. ჭეშმარიტი განვითარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც გვიყვარს, ღმრთის სიყვარულს ვბაძავთ, უანგაროდ ვწირავთ თავს მოყვასისთვის“, - აღნიშნა იერარქმა.

ახალგაზრდა რეპერის მოქცევა

მადრიდელი რეპერი გილიერმო ესტებანი 25 წლისაა. თაყვანისმცემლებისთვის იგი Glirex-ის სახელითაა ცნობილი. როდესაც გილიერმო 17 წლის გახდა, მისი უმცროსი ძმა დაავადდა. ექიმები გადარჩენის შანსს არ აძლევდნენ. თავისი ნუხილი გილიერმომ რეპით გამოხატა. იგრძნო, რომ შემოქმედება შეეხას აძლევდა. შვებასთან ერთად პოპულარობაც მოვიდა, პოპულარობას კი ამპარტავნება მოჰყვა. ბიჭს მეგობრები შემოეცლა, მარტო დარჩა და ყველა თავის უბედურებაში ღმერთი დაადანაშაულა. უფლისადმი ბრაზი რეპში გად-

მოიღვარა. უფალთან დედამ დააბრუნა. ერთხელ სთხოვა, წირვაზე გაჰყოლოდა. ეკლესიაში გოგონა გაიცნო, რომელმაც ე. წ. „ალფა-ვახშამზე“ - ქრისტიანი ახალგაზრდების შეხვედრაზე დაპატიჟა. გილიერმო რამდენიმე ასეთ ვახშამზე მივიდა, შემდეგ კი მოხალისეობაც დაიწყო. „რალაც მომენტში მივხვდი, რომ მე კი არ ვეხმარები ლატაკებსა და სნეულებს, არამედ ისინი მეხმარებიან. მათ ღმერთი დამანახეს“. თანდათან გილიერმო მიხვდა, რომ ღმერთი სასტიკი მსაჯული კი არ არის, არამედ მოსიყვარულე და გულმონყალეა, მუდამ შენთანაა და მუდამ ხელს გიწვდის; იმასაც მიხვდა, რომ თავისი შემოქმედებით, თავისი პოპულარობით სიკეთის მოტანა შეუძლია. მისი ტექსტები და ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. „ახლა მე ღმერთისთვის ვწერ. შესაძლოა, რეპი ევანგელიზაციის ძლიერ იარაღად იქცეს. ჩემი ძმაც კარგად არის. მართალია, ავადმყოფობის გამო გარკვეული სირთულეები აქვს, მაგრამ მისი ცხოვრება გრძელდება“, - აცხადებს გრილეჟი.





მოამზადა მამა გაბრიელე ბრაბანტინი

ამაშია არსი პაპ ფრანცისკეს გზავნილისა 53-ე მსოფლიო მშვიდობის დღესთან დაკავშირებით, რომელიც აღინიშნება 2020 წლის 1 იანვარს. გზავნილი წარადგინა ადამიანის ინტეგრალური განვითარების სამსახურის დიკასტერიის პრეფექტმა, კარდინალმა პიტერ კოდვო აპია ტარქსონმა (Peter Kodwo Appiah Turkson): „მინდა უბრალოდ აღვნიშნო, რამდენიმე დღეში შობის დღესასწაული დადგება, ეს დღე ანგელოზებმაც იზეიმეს, როგორც დედამიწაზე მშვიდობის დადგომის ჟამი. მშვიდობა კაცთა შორის. 2020 წლის გზავნილი იხსენებს მწყემსთა სიხარულის პირველ გზას, ანგელოზთა უწყებას. პაპის გზავნილსაც მსგავსი უწყება აქვს: **მშვიდობის გზა იმედის გზაა...** თუმცა მის სრულ რეალიზაციას კაცობრიობა ვერ ახერხებს დღევანდელი რთული ვითარების გამო, თავისი კონფლიქტების, უნდობლობისა და შიშის გამო, მშვიდობა არის ალტემა, ღვთისაგან მოცემული და განხორციელებული დედამიწაზე იესოს მოსვლითა და მისიით. იმედი მშვიდობის გზაზე სულაც არ არის უტოპია. მომავლის ფესვები წარსულსა და აწმყოში დევს“.

გზავნილის ტექსტი ხუთ მოკლე ნაწილად იყოფა, შემდეგი სახელწოდებით:

1. *მშვიდობა, იმედის გზა დაბრკოლებათა და განსაცდელთა წინაშე;*

2. *მშვიდობა, მოსმენის გზა, რომელიც ემყარება ხსოვნას, სოლიდარობასა და ძმობას;*

3. *მშვიდობა, შერიგების გზა ძმურ ურთიერთობაში;*

4. *მშვიდობა, ეკოლოგიურ ცვლილებათა გზა;*

5. *მიაღწევთ იმდენს, რამდენის იმედიც გაქვთ.*

ამ ბოლო ნაწილში შემდეგს ვკითხულობთ: „შერიგების გზა მოითხოვს მოთმინებასა და ნდობას. იმედის გარეშე მშვიდობას ვერ მივაღწევთ. უწინარესად, უნდა გვწამდეს მშვიდობის შესაძლებლობის, გვწამდეს, რომ სხვასაც ჩემნაირად სჭირდება მშვიდობა. ამიტომაც, შთაგონებული უნდა ვიყოთ ღვთის სიყვარულით თითოეული ჩვენგანის მიმართ, უსაზღვრო, თავისუფალი, დაუცხრომელი სიყვარულით.“

შიში ხშირად გამხდარა კონფლიქტის წყარო. ამიტომ არის მნიშვნელოვანი დავძლიოთ ჩვენი

ადამიანური შიშები, ვალიარებთ რა თავს საჭირო შვილებად მის წინაშე, ვისაც ვუყვარვართ და გველის, როგორც მამა უძღვებ შვილს (იხ. ლუკ. 15: 11-24). და-ძმებს შორის ურთიერთობის კულტურა სპობს საფრთხის კულტურას, ყოველ შეხვედრას აქცევს შესაძლებლობად და ღვთის დიდსულოვანი სიყვარულის ძღვნად. ყოველთვის გავყავართ ჩვენი აზროვნების ვიწრო პორიზონტის საზღვრებიდან და ყოველთვის მიისწრაფვის იქითკენ, რომ ვიცხოვროთ ძმურად, როგორც ერთი ზეციერი მამის შვილებმა... სულიწმიდა ყოველდღიურად გვთავაზობს ურთიერთობასა და საშუალებას, რათა გავხდეთ სიმართლისა და მშვიდობის შემოქმედნი. დაე, მშვიდობის ღმერთმა დაგვლოცოს და შეგვენიოს. დაე, მარიამი, მშვიდობის მეუფე და დედამიწის ყველა ხალხის დედა, გაგვიძღვეს და შეგვენიოს შერიგების გზაზე, რომ ამქვეყნად მოვლინებულმა ყოველმა ადამიანმა უწყოდეს მშვიდობის არსებობის შესახებ და სავსებით ალასრულოს ალტემა სიყვარულისა და სიცოცხლისა, რომელსაც ის თავის თავში ატარებს“.



ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის დღესასწაული ქუთაისში

ტრადიციისამებრ, 8 დეკემბერს ქუთაისის კათოლიკურმა საკრებულომ წმ. მარიამის უმანკოდ ჩასახვის დღესასწაული აღნიშნა, რომლის სახელობისაც არის ჩვენი კათოლიკური ტაძარი. ამ დღეს სტუმრად გვეწვია ჩვენი ეპისკოპოსი მეუფე ჯუზეპე, მან თავისი ქადაგებით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ღვთისმშობლის სილამაზეზე, წმიდანობის საკითხზე. „აღამიანის სილამაზეს მისი შინაგანი მდგომარეობა განაპირობებს, წმიდანობა სულის სილამაზეა“, - აღნიშნა მეუფემ. გალობითა და ლოცვით დასრულდა წირვა, რის შემდეგაც ყველას საინტერესო კონცერტი გველოდა. ჩვენი საკრებულოს ბავშვებმა წარმოადგინეს ლურდის ღვთისმშობლის გამოცხადების მხატვრული ინსცენირება. შემდეგ ესტაფეტა კარიტასის „ბავშთა ცენტრის“ აღსაზრდელებს გადასცეს, რომელთაც საშობაო და საახალწლო სიმღერებით გაგვითბეს გულები. სტუმრად მონაწილე-

თა შორის გახლდნენ ქუთაისის „მადლიერების სახლის“ კულტურულ ღონისძიებათა ჯგუფის ხელმძღვანელი ჟანა მუჯირი, ქუთაისის „სალონური საღამოების“ წარმომადგენლები ქ-ნი ირმა ქურასბედიანი და ექიმი-ხელოვანი თემურ ძიძიგური; მათ თავიანთი პოეზიითა და მუსიკით მეტი სილამაზე შესძინეს ამ დღეს, მადლიერების სიტყვებიც არ დაიშურეს ჩვენი ეკლესიის საქმიანობის აღსანიშნავად. ყველა მოგვხიბლა პატარა დეკლამატორის მარი ჯიმშელიშვილის მიერ გრძნობით წაკითხულმა ლექსებმა.

კონცერტი დასრულდა და ქუთაისის მრევლის ერთი ნაწილი, ტრადიციის მიხედვით, მართლმადიდებლების საკუთრებაში მყოფი ჩვენი კათოლიკური ტაძრისაკენ გაეშურა სალოცავად. ტაძარს ღვთისმშობლის უმშვენიერესი ქანდაკება ამშვენებს და ქრისტიანებს ერთობლივი ლოცვისკენ მოუხმობს. ცარიელ ტაძარში გახმიანდა ჩვენ

მიერ წარმოთქმული ლოცვები და ღვთისმშობლისადმი საგალობლები, რამაც გარეთ მყოფი მღვდლების გაღიზიანება გამოიწვია. ტაძარში შემოსულმა მღვდელმა ირაკლიმ, რომელიც, ამასთანავე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორია, აგვიკრძალა ხმამაღლა ლოცვა და გვირჩია მხოლოდ გულში გველოცა. ცხადია, ამ თხოვნას არ დავემორჩილეთ. მცირე კამათის შემდეგ ღვთისმსახურმა ფრიად „ადეკვატური“ გადანყვეტილება მიიღო, დახმარებისათვის საპატრულო პოლიცია გამოიძახა... ნეტავ რისთვის?.. გულიდან წამოსული ლოცვების გამო?..

ახლა, როცა ახლოვდება ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეული, კიდევ უფრო სავალალოდ მოჩანს ეს ფაქტი, კიდევ უფრო ქრება ქრისტიანთა დაახლოების, ურთიერთგაგების, უბრალოდ, კაცთმოყვარეობის გამოჩენის იმედი.

ნანა მიზანდარი



ახალშენის „იესო ქრისტე მხსნელის“ ეკლესიის დღესასწაული

უკვე 21 წელია, ნოემბრის ბოლო კვირა დღეს აღინიშნება ახალშენის „იესო ქრისტე მხსნელის“ სახელობის კათოლიკური ეკლესიის დღესასწაული და, ამასთან ერთად, სოფლის დღეობა, რომელსაც ახალშენელები ახალშენობას უწოდებენ. ეს დღესასწაული განსაკუთრებულია სოფლისთვის და დიდი თუ პატარა სიხარულით ზეიმობს ამ ღამეზე დღეს. წელსაც, დღესასწაულამდე რამდენიმე ხნით ადრე, დროშებით მოირთო ეკლესიის ეზო და სოფელმაც დაიწყო მზადება. 24 ნოემბერს, მრევლითა და სტუმრებით სავსე ტაძარში აღესრულა საზეიმო წირვა, რომელსაც უძღვებოდა კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო. წირვაზე დამსწრეთა უმრავლესობას ბავშვები შეადგენდნენ, რაც იძლევა იმედს იმისა, რომ ახალშენის ეკლესიას, როგორც ათეულობით წლის წინათ, ასევე მომავალშიც ეყოლება მრავალრიცხოვანი მრევლი.

ქადაგებისას მეუფემ მრევლს უსურვა, რომ ახალ ლიტურგიულ წელს კიდევ უფრო გაძლიერებულიყოს მათ გულებში რწმენა. ნიშნად ამისა, მრევლის ყოველმა წევრმა საკურთხეველთან მოთავსებული სახარება სიმბოლურად თითო ყვა-

ვილით შეამკო. როცა ბავშვებმა სანთლები დაანთეს, მეუფემ აღნიშნა, რომ ეს არის იმედის მომცემი ნიშანი, ჩვენ, როგორც უფროსი თაობა, ჩვენს რწმენას გადავცემთ მათ. ძღვენის მირთმევის დროს, ასევე, ძალიან ღამაში და შთამბეჭდავი იყო სოფლის მოსახლეობის მიერ გაჭირვებულთათვის ტანსაცმლისა თუ საკვების სახით გაღებული შესანიშნავი გადაცემა.

როგორც ყოველთვის, საზეიმო წირვის დასასრულს, ბავშვებმა გამართეს პატარა კონცერტი, რითაც ყველამ ძალიან ისიამოვნა, შემდეგ კი ყველანი მიიპატიჟეს სადღესასწაულო სუფრასთან და ახალშენელები ჩვეული სტუმართმოყვარეობით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. დიაკონმა კოტემ გაიხსენა ეკლესიის მშენებლობის ისტორია, რასაც დიდი ინტერესით ისმენდნენ იქ მყოფი ახალგაზრდები. იმ დროს ისინი ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, არ იცოდნენ თუ როგორ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, შეხვედრები მოსახლეობასთან, რა ძალისხმევა დასჭირდა პროექტის შემუშავებას, როგორ მოიძიეს და მოჭრეს თეთრი ქვები, როგორ ჩაიდო საძირკველში პირველი ქვა, როგორი შემართებით მიდიოდა ყოველდღიურად სოფლის

თითოეული მკვიდრი მშენებლობაზე დასახმარებლად, რათა ეკლესია სწრაფად აშენებულიყო, რადგან ფიქრობდნენ, რომ ის მათთვის შენდებოდა. ეს იყო პირველი ეკლესია, რომელიც აიგო კომუნისტური პერიოდის დასრულების შემდეგ.

24 ნოემბერს ეკლესია სავსე იყო ხალხით, უამრავი ბავშვით: საკრებულომ გამოიღვიძა. „ვინაიდან ეკლესია არის შეკრების ადგილი და თქვენ გაქვთ ეს ადგილი სოფელში, ეს უფლის საჩუქარია, რაც უნდა გამოვიყენოთ. ის არ უნდა იყოს ცარიელი. ჩვენ გვინტერესებს რწმენა, ღმერთი, ღმერთის გარეშე ჩვენი ხსნა არ მოხდება. ახალშენი მშვენიერი სოფელია, ეს მშვენიერი დღესასწაულია. სანამ საქართველო არსებობს, ახალშენიც იარსებებს“, - ასე დაასრულა ახალშენის დიაკვანმა კოტემ ოცხელმა თავისი სადღეგრძელო.

დასასრულს, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ამ ღამეში დღისათვის ახალშენის ეკლესიის მოძღვარს მამა დანიელე ჯაკომელისა და მამა მარია კრიველარის, რომლებიც არა მხოლოდ ეკლესიასა და მის მომავალზე ზრუნავენ, არამედ მთელ სოფელზე. დაე, ახალშენის ეკლესია ყოველთვის სავსე იყოს მრევლით.

დიანა გარუშავა





„წმიდანნი... საქართველოში“



წმ. გიორგი და წმ. საბა ხახულელე-ბი - მოხსენიების დღე 1 იანვარი.

ღირსი გიორგი მწერალი და მისი ძმა საბა, წმიდა გიორგი მთაწმინდელის მამის, იაკობის, ძმები იყვნენ. ისინი ხახულის მონასტერში მოღვაწეობდნენ XI ს-ში.

წმ. მაკარი მმარხველი - მოხსენიების დღე 3 იანვარი.

წმიდა მაკარი მმარხველის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ის ხახულის მონასტრის წინამძღვარი იყო. სწორედ მან აკურთხა ყრმა გიორგი - შემდგომში უდიდესი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი. განსაკუთრებული მარხვისა და ლოცვისათვის მაკარს მმარხველი უწოდეს. იგი 1034 წელს გარდაიცვალა.



წმ. დედა საბიანა - მოხსენიების დღე 13 იანვარი.

ღირსი დედა საბიანა (Xს) სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. ამ მონასტერში მიუყვანიათ შვიდი წლის გიორგი მთაწმინდელი. იგი სამი წლის განმავლობაში იზრდებოდა წმიდა საბიანას მიერ. ღირსი დედის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. წმიდა საბიანას ღვაწლი განცხადებულია მისი წინამძღვრობისდროინდელი მონასტრის ცხოვრებასა და მის აღზრდილებში.

წმ. ევაგრე და წმ. ილია დიაკონი - მოხსენიების დღე 17 იანვარი.

ღირსი ევაგრე შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, VI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. ერისკაცობაში ქართლის სპასპეტი და ციხედიდის მთავარი, ბერად აღიკვეცა შიომღვიმელის ზეგავლენით. მასთან ერთად მონასტერში იმყოფებოდა ილია დიაკონი. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოში მონასტრების დაფუძნებასა და მონაზვნური ცხოვრების განმტკიცებაში.

წმ. აბო თბილელი, წამებული - მოხსენიების დღე 21 იანვარი.

ქრისტიანობისათვის წამებული არაბი, ქართლის ერისმთავრის, ნერსეს მსახური, ნელსაცხებელთა

ოსტატი, დაიბადა დაახლოებით 757 წელს. წმიდანი ბაღდადიდან ქართლში ჩამოჰყვა ნერსეს. აბო გაკვირვებული იყო ქართველთა ზნეობით; იგი სწავლობდა ქართულ ენას, დადიოდა ეკლესიაში, ესაუბრებოდა სამღვდლოებას, ლოცულობდა მათთან ერთად და მარხულობდა. შემდეგ ქართლიდან დევნილ ერისთავს თან გაჰყვა ხაზარეთში, სადაც ქრისტიანობა მიიღო. მოგვიანებით კი არაბთა რისხვას განრიდებულ ერისმთავართან ერთად აფხაზეთში გადავიდა. იგი მადლობდა ღმერთს, რომ იხილა ადგილი, სადაც ყველა ქრისტიანი იყო და ერთი პირითა და ერთი გულით ადიდებდა შემოქმედს. შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ნერსეს საშუალება მისცა ისევ ქართლს დაბრუნებოდა. აფხაზეთა მეფემ სთხოვა აბოს დარჩენილიყო აფხაზეთში.

სამი წელი მოღვაწეობდა აბო თბილისში და ქადაგებდა ქრისტიანობას. ძველმა თანამემამულეებმა დაასმინეს იგი, შეიპყრეს და სატუსალოში ჩააგდეს, მაგრამ სტეფანოზ ერისთავის თხოვნით მალე გაათავისუფლეს. სულ მალე თბილისში ახალი ამირა დასვეს. ქრისტიანებმა გაიგეს, რომ ამირა შეპყრობას უპირებდა ნეტარ აბოს, გააფრთხილეს და ურჩიეს დამალულიყო, მან კი გახარებულმა ასე უპასუხა: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკვდილისთვისაც.“

ამირას მსახურებმა შეიპყრეს ნეტარი აბო და მსაჯულს წარუდგინეს. არაბებმა მოსთხოვეს მაჰმადიანობას დაბრუნებოდა. აბომ უარი განაცხადა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით აბოს ხელ-ფეხზე ბორკილი დაადეს და საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ კი, 786 წლის 6 იანვარს, თავი მოჰკვეთეს. აბო დანვეს, ხოლო ძელები, რომელთა დანვაც ვერ შეძლეს, ცხვრის ტყავში გამოკერეს და მტკვარში ჩააგდეს.

საქართველოს ეკლესიამ აბო წმიდანად შერაცხა. იგი მიჩნეული იყო ქ. თბილისის მფარველად. აბო თბილელის მონამეობა აღწერა VIII საუკუნის მწერალმა იოანე საბანის ძემ.





წმ. ნინო, ქრისტიანობის გამავრცელებელი საქართველოში, მოციქულთასწორი – მოხსენიების დღე 27 იანვარი.

წმიდა ნინოს შესახებ ბიოგრაფიული ცნობების ძირითადი წყარო არის მისივე „ცხოვრება“.

წმ. ნინო დაიბადა კაპადოკიაში, ქრისტიანთა ოჯახში. მისი დედა სოსანა და მამა ზაბულონი, რომელიც სამხედრო პირი იყო, მონაზვნობის გზას დაადგნენ და იერუსალიმში გადასახლდნენ. 12 წლის ნინო აღსაზრდელად მიაბარეს მოხუც ქრისტიან ქალს სარა ნიაფორს, რომელიც ხშირად უამბობდა მას მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების, მისი წამებისა და ჯვარცმის ამბავს, მისგანვე გაიგო ნინომ, თუ როგორ მოხვდა წარმართულ საქართველოში ქრისტეს კვართი. პატარა ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და კვართის თაყვანისცემის საშუალება მისცემოდა. ღვთისმშობელმა მარიამმა შეისმინა ნინოს ვედრება, ერთხელ სიზმარში გამოეცხადა და უთხრა, რომ წასულიყო მის ნილზვედრ ქვეყანაში და ექადაგა ქრისტეს სახარება. ღვთისმშობელმა მას ვაზის ტოტებისგან შეკრული ჯვარი მისცა. გამოღვიძებულ ნინოს მართლაც აღმოაჩნდა ხელში ჯვარი, რომელიც მან თავისი თმით შეკრა.

იერუსალიმიდან ნინო რომში ჩავიდა, ხოლო იქიდან მის მიერ ქრისტეს სჯულზე მოქცეულ რიფსიმესთან, გაიანესთან და სხვა ქალწულებთან ერთად სომხეთისკენ წამოვიდა, რადგან რომში ამ დროს ქრისტიანების მოძულე და მღევნელი დიოკლეთიანე მეფობდა. სომხეთში რიფსიმე და სხვა ქალწულები სომხეთის წარმართმა მეფემ არდატმა დააპატიმრა და აწამა. გადარჩა მხოლოდ ნინო, რომელიც მეგობრების შეპყრობის დროს ვარდის ბუჩქებში დაიმალა. ამის შემდეგ იგი ფარავნის ტბის გზით საქართველოსკენ წამოვიდა (316წ.). ქართლის დედაქალაქ მცხეთაში მას დახვდა კერპები და მათი თაყვანისმცემელი მეფე, მთავრები და მთელი მოსახლეობა. წმ. ნინო სამეფო ბაღის მცველის სახლში დასახლდა. დღედაღამ ლოცულობდა და შესთხოვდა უფალს ქართველთა მოქცევას ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე,

ქადაგებდა და ასწავლიდა უფლის სახარებას, ეხმარებოდა ავადმყოფებსა და დავრდომილებს. უშვილო ოჯახს წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა შვილი მიმადლა. ერთხელ მძიმედ დაავადდა მეფე მირიანის მეუღლე დედოფალი ნანა. მას მკურნალები ვეღარ შეელოდნენ, და მაშინ დედოფლის მსახურებმა წმ. ნინოს სთხოვეს დახმარება. ნინომ დედოფალი თავისთან მოიწვია, ილოცა მისთვის, ჯვარი გადასახა და განკურნა (322წ.). ამის შემდეგ დედოფალმა იწამა ღმერთი. რამდენიმე თვის შემდეგ, 323 წლის 20 ივლისს, თავად მეფე მირიანს დაუბნელდა თვალთ ნადირობის დროს და ამოად უხმობდა და ევედრებოდა კერპებს თვალის ახელას. მაშინ მირიანმა წმ. ნინოს ღმერთს შეავედრა თავი და მყის დაუბრუნდა თვალის სინათლე. ამის შემდეგ მირიანმაც იწამა ქრისტე და განიზრახა ქვეყნის გაქრისტიანება, რაც წმ. მოციქულთა სწორ ნინოს შეწვევითა და ქადაგებით განახორციელა კიდევ.

რომის იმპერიიდან მღვდლების მოსვლამდე, ქრისტიანობის გზაზე გულმოდგინედ დამდგარმა მირიან მეფემ მცხეთაში ეკლესიის აშენება განიზრახა. წმ. ნინოს რჩევით მან ტაძარი ააგო იმ ადგილას, სადაც უფლის კვართი იყო დამარხული. წმ. ნინო ქართლის სხვა ადგილებშიც ქადაგებდა. ის დასწეულდა დაბა ბოძინში (ბოძე) და იქვე გარდაიცვალა 338 წლის 27 იანვარს. წმ. ნინო ბოძეში დაკრძალეს და შემდგომ მის საფლავზე მეფე მირიანმა წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

წმ. სალომე უჯარმელი და წმ. პეროჟავრა სივნიელი - მოხსენიების დღე 28 იანვარი.

წმიდა სალომე უჯარმელი (IVს), მირიან მეფის ვაჟის, რევის მეუღლე, ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს უახლოესი თანაშემწე იყო. ქართლის მოქცევის შემდეგ, წმიდა ნინოს შთაგონებითა და წმიდა მეფე მირიანის ბრძანებით, წმიდა სალომემ უჯარმაში პატიოსანი ჯვარი აღმართა. წმიდა სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა ჩაინერეს წმ. ნინოს ცხოვრება.

მოაზრადა ვერიკო ნოზაძე





ანგარიში: პატრიარქი ბართლომე აცხადებს, რომ კათოლიკე ეკლესიასთან გაერთიანება „გარდაუვალია“.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ანგარიშის მიხედვით, პატრიარქმა ბართლომემ განაცხადა, რომ კათოლიკე ეკლესიასთან სრული თანაზიარება „გარდაუვალია“.

მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქის განცხადებით, განყოფილება მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის არაა დოგმატური, არამედ ისტორიულია, და რომ კათოლიკეები „ზუსტად ისეთივე ქრისტიანები არიან, როგორიც ჩვენ“. მან აღნიშნა, რომ პაპ ფრანცისკეს მიერ წმ. პეტრეს რელიკვიების მისთვის ჩუქება იყო მართლმადიდებლობასთან კათოლიკე ეკლესიის სიახლოვის მოწმობა.

გასულ შაბათს, წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაულზე, პაპმა ფრანცისკემაც გამოთქვა ეკუმენიზმის სურვილი. ჩვეულებისამებრ, მან სტამბოლში წარგზავნა დელეგაცია კარდინალ

კურტ კოხის ხელმძღვანელობით, რომელიც ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობი პონტიფიკური საბჭოს თავმჯდომარეა.

კარდინალმა კოხმა მონაწილეობა მიიღო წმ. გიორგის საპატრიარქო ეკლესიაში აღვლენილ წირვაში, შემდეგ კი პატრიარქ ბართლომეს გადასცა პაპ ფრანცისკეს წერილი, რომელიც საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ წაიკითხეს:

„დიდი სულიერი სიხარულითა და რწმენისა და სიყვარულის ღრმა თანაზიარებით ვუერთდები კონსტანტინოპოლის ეკლესიის ლოცვას მისი წმიდა მფარველის, ანდრია მოციქულის, პირველწოდებულისა და წმ. პეტრეს ძმის, დღესასწაულის აღნიშვნაში“.

წყარო: [https://ucatholic.com/.../report-patriarch-bartholomew-says.../...](https://ucatholic.com/.../report-patriarch-bartholomew-says.../)



იანვარი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

თებერვალი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	

მარტი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

აპრილი


ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

მაისი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ივნისი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					



ივლისი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		




აგვისტო

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

სექტემბერი

ო	ს	ო	ბ	პ	შ	კ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

2020



იველ წმიდანთა
ნიების წელიწადი

მზარი

ნ	პ	შ	კ
3	4	5	6
0	11	12	13
7	18	19	20
4	25	26	27

ოქტომბერი

ო	ს	ო	ს	პ	შ	კ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ნოემბერი

ო	ს	ო	ს	პ	შ	კ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

დეკემბერი

ო	ს	ო	ს	პ	შ	კ
1	2	3	4	5	6	
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			



სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული საშობაო კერძები: ინგლისური პუდინგი.

შობა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და დიდი ხნის ნანატრი ქრისტიანული დღესასწაულია მთელ მსოფლიოში. ბევრისთვის ის ასოცირდება ბედნიერებასთან, მხიარულებასა და საუცხოო განწყობასთან. შობის დღესასწაულზე ერთად იყრიან თავს ოჯახის წევრები, მეგობრები და ნათესავები, ამზადებენ გემრიელ კერძებს და აწყობენ მდიდრულ სუფრას. ყოველ ქვეყანას აქვს თავისი განსაკუთრებული ტრადიციული კერძები, რომელსაც ყოველთვის მიიტანენ ხოლმე სუფრაზე შობის ღამეს (...).

საშობაო ინგლისური პუდინგი

ინგრედიენტები:

100 გ ნაღების კარაქი

100 გ შაქარი

100 გ ფქვილი

100 გ ორცხობილას საფანელი

2 კვერცხი

0,5 ჩ. კოვზი გამაფხვიერებელი

150 გ რძე

მწიკვი მარილი

300 გ ქიშმიში, ჭერმის ჩირი

სიროფი, ათქვეფილი ნაღები გემოვნებით

მომზადება:

ნაღების კარაქი დაჭერით პატარა ნაჭრებად ან გახეხეთ მსხვილ სახეხზე. ნაღების კარაქი, ფქვილი, ორცხობილა და ცომის გამაფხვიერებელი აურიეთ ხელით, ვიდრე ცომი არ აფუფდება და გაფხვიერდება.

კვერცხი გატეხეთ და მოათავსეთ ცალკე თასში, დაუმა-

ტეთ შაქარი, მწიკვი მარილი და ათქვეფეთ მიქსერით 10 წუთის განმავლობაში.

დაუმატეთ ცომს ათქვეფილი კვერცხი და მოზილეთ. შემდეგ დაასხით რძე და ისევ კარგად აურიეთ. ჭერმის ჩირი გარეცხეთ და დაჭერით ძალიან პატარა ნაჭრებად, გარეცხილ და გამშრალ ქიშმიშთან ერთად დაუმატეთ ცომს და კარგად აურიეთ.

მიღებული პუდინგის ცომი მოათავსეთ კარაქნასმულ, ცხობისათვის საჭირო ფორმაში, ზემოდან დააფარეთ ფოლგა და კარგად დაამაგრეთ.

პუდინგი უნდა მომზადდეს ორთქლზე. ფართო და ღრმა ქვაბის ძირზე მოათავსეთ დაპირქვავებული ლამბაქი, განათავსეთ მასზე ცომით სახვე ფორმა და ჩაასხით ქვაბში წყალი, ისე რომ დაფაროს ფორმის ნახევარი. დაახურეთ ქვაბი თავსახური, დადგით საშუალო ცეცხლზე და როცა წყალი ადუღდება, დაუნიეთ ცეცხლს. გააჩერეთ ჭურჭელი ცეცხლზე 3 საათის განმავლობაში, პერიოდულად დაუმატეთ წყალი, თუ ის აორთქლდება. გამზადებული პუდინგი გააცივეთ, გადაიტანეთ ფორმიდან თეფშზე, დანამეთ ხილის ტკბილი სიროფით და მორთეთ ათქვეფილი ნაღებით.

ინგლისში საშობაოდ ამზადებენ ინდაურს შტოშის სოუსით, გარნირად მიიტანება ბრიუსელის კომბოსტო, შემწვარი კარტოფილი, მოხარშული ან ორთქლზე მოხარშული ბოსტნეული. კიდევ ერთი პოპულარული კერძია ღორის ფეხი, მორთული ალუბლითა და მიხაკით. ტრადიციული დესერტი - პუდინგი ქიშმიშით, ცუკატებით, ხილითა და კაკლით, რომელსაც მიტანამდე გადაასხამენ რომისა და ლიქიორის ნაზავს და ცეცხლს წაუკიდებენ. ინგლისელთა საშობაო სასმელია ცხელი ელი ანუ გლინტვეინი ლუდით.



შეხვედრა მსოფლიო პატრიარქთან



შორენა პარუნაშვილი

„ძალიან მიხარია, რომ თქვენს უნივერსიტეტში კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ძალიან კარგი, ჰარმონიული თანამშრომლობა სუფევს (არსებობს).“

23 ნოემბერს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორები ოფიციალური ვიზიტით მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადუნმინდესობა ბართლომეს ესტუმრნენ, რომელმაც ქართველი სტუმრები ქალაქ სტამბოლში, მსოფლიო საპატრიარქოს რეზიდენციაში მიიღო.

შეხვედრაზე პატრიარქი გაეცნო საბაუნის წარმომადგენლებს და კმაყოფილება გამოთქვა უნივერსიტეტში სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებს შორის არსებული ჰარმონიული თანამშრომლობის გამო. „ძალიან მიხარია, რომ თქვენს უნივერსიტეტში კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ძალიან კარგი, ჰარმონიული თანამშრომლობა სუფევს (არსებობს). ქრისტიანულ ეკლესიებთან, განსაკუთრებით კი რომის კათოლიკე ეკლესიასთან, ურთიერთობა მსოფლიო საპატრიარქოს ერთ-ერთ-

თი პრიორიტეტთაგანია. მიგვაჩნია, რომ, დღესდღეობით არსებული გამოწვევებისა და ვნებათაღელვის ფონზე, ჩვენ, ქრისტიანული ეკლესიები, უნდა გავერთიანდეთ და ერთად დავამოწმოთ ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტება მთელი სამყაროს წინაშე“.

ქართულ დელეგაციას თან ახლდა საბაუნის დამფუძნებელი, კავკასიაში ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისათვის და აღნიშნა, რომ, როგორც საბაუნის დამფუძნებლისათვის, მეტად მნიშვნელოვანია კათოლიკე და მართლმადიდებელი ძმებისა და დების ჰარ-

მონიული თანამშრომლობა: „ჩვენი უნივერსიტეტის მიზანია შევქმნათ თავისუფალი ადგილი/სივრცე, სადაც ყველას შეეძლება განვითარდეს როგორც პროფესიულად, ასევე სულიერად, განურჩევლად რელიგიური/კონფესიური აღმსარებლობისა. ჩვენ გვინდა ვიყურებოდეთ წინ და არ შევჩერდეთ აწმყოზე, იმ პატარა მოვლენებზე, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება დღეს. ჩვენი დღევანდელი ვიზიტიც ამ მიზანს უკავშირდება და გვსურს გთხოვოთ თქვენი კურთხევა ჩვენი მომავალი ერთობლივი საქმიანობისათვის“.

აუდიენციის დასასრულს, მისმა ყოვლადუნმინდესობამ დალოცა საბაუნის თანამშრომლები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.





მღვდ. გაბრიელ ბრაბანტინი

„დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს“ (საქმე 28,2)

ღვთაებრივი განგების და, ამავდროულად, ადამიანურობის გამოვლინების მაგალითი: ეს არის ის, რასაც გვთავაზობენ მალტასა და გოზოს ქრისტიანული ეკლესიები, რომლებმაც წლევანდელი ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეულისათვის (18-25 იანვარი) მოამზადეს მასალები. ეს მაგალითი მოცემულია მოციქულთა საქმეების წიგნის ბოლოს და მოქმედებას სწორედ მალტაზე და მის გარემომცველ ქარიშხლიან ზღვაზე ხდება.

პირველ რიგში, ღვთაებრივი

განგება: გადმოცემა ხელახლა გვთავაზობს კაცობრიობის დრამას ბუნების სტიქიის შემადრწუნებელი ძალის ფონზე. ხომალდის მგზავრები აბოპოქრებულ ზღვასა და ქარბორბალას ებრძვიან. ეს ძალები მათ უცნობ ნაპირზე გადაისვრიან, ისინი დაკარგულად და უიმედოდ გრძნობენ თავს. ხმელთაშუა ზღვაზე მცურავი ამ ხომალდის ორას სამოცდათექვსმეტი მგზავრიდან მხოლოდ ერთი მშვიდად და სხვების გამხნევებასაც ცდილობს: ესაა მოციქული პავლე, ხომალდზე პატიმრად მყოფი, რომელიც კეისარს უნდა მიჰგვარონ. იგი ღვთის ანგელოზისგან იქნა ნუგეშცე-

მული: „ნუ გეშინია, პავლე! შენ კეისრის წინაშე უნდა წარსდგე და აჰა, ღმერთმა გაჩუქა ყველა, ვინც შენთან ერთად მოცურავს ხომალდით“ (საქმე 27, 24).

ხომალდი და მთელი მისი ძვირფასი ტვირთი იძირება, მაგრამ ყველა გადარჩება: „არცერთი თქვენგანის თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება“ (საქმე 27, 34; იხ. ლუკა 21, 18). ანუ ღვთის განგების ძალით ყველა მგზავრი შეძლებს თავის გადარჩენას; და ქრისტიანული სარწმუნოებაც მიაღწევს მალტამდე მოციქულის მეშვეობით, რომელიც იქ უამრავ განკურნების სასწაულს მოახ-



დენს. ქრისტიანთანი შორის ერთიანობის ძიების გზაზე ღვთაებრივ განგებაზე მინდობა იმ მრავალი უსარგებლო ნივთის მოცილებას გულისხმობს, რაზეც ასე ვართ მიჯაჭვულნი. ღმერთისთვის ყველა ადამიანის ხსნა ძვირფასია. ამიტომ სხვადასხვა ადამიანები, ერთმანეთთან უთანხმოებაში მყოფნი, ერთად შეიკრიბნენ და „ყველამ თავს უშველა ხმელეთზე“ (საქმე 27, 44). ყოველი წლის 10 თებერვალს, მალტაში აღნიშნავენ მოციქულ პავლეს ხომალდის ჩაძირვის დღესასწაულს, და ხმამაღლა კითხულობენ იმავე ნაწყვეტს მოციქულთა საქმეების ნიგნიდან (27, 18 - 28,10), რაც ამ წლის ლოცვის კვირეულის თემად შეირჩა, მოიგონებენ და მადლს სწირავენ ღმერთს ამ კუნძულებზე ქრისტიანული რწმენის შემოტანისთვის.

მეორე, **ადამიანურობის გამოვლინება.** საქმეების ნიგნში რამდენჯერმე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მალტელებმა მიიღეს ჩაძირული გემის მგზავრები. ისინი მათ ეპყრობოდნენ „კაცთმოყვარეობით“ (საქმე 28, 2), სიტყვასიტყვით „ფილანტროპიით“, „შეკრიბეს“ ისინი დიდი კოცონის გარშემო გასაშრობად და გასათბობად, ხოლო წასვლისას „საგზლით მოამარაგეს“ (საქმე 28, 10). მალტელების ფილანტროპია მხოლოდ ფილოქსენიის (სიტყვასიტყვით: უცხოსადმი სიყვარული, სტუმართმოყვარეობა) ნაირსახეობაა, რის შესახებაცაა მოთხრობილი ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (13, 2), სადაც აღნიშ-

ნულია აბრაამის მიერ გამოვლენილი ფილოქსენია მამრეს მუხებში (დაბადება 18). როდესაც ისინი კოცონის ირგვლივ იკრიბებიან, მათთვის სრულიად უცხო ადამიანების გარემოცვაში, ვისიც არ ესმით, განსხვავება ძალაუფლებასა და მდგომარეობას შორის იშლება. დღესაც კი მრავალი ადამიანი ერთსა და იმავე ზღვაში დგას მსგავსი ქარიშხლის წინაშე. წმინდა წერილში ნახსენები იგივე ადგილები (საქმე 21,1; 28,1) დღესაც სავსება დღევანდელი ემიგრანტების ისტორიებით. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, დღესაც მრავალი ადამიანი იმყოფება სახიფათო მოგზაურობაში ხმელეთსა და ზღვაზე, რათა თავი დააღწიოს სტიქიურ უბედურებას, ომსა და სიღარიბეს. მათი სიცოცხლე უდიდესი და უკიდურესად გულგრილი ძალის ხელშია, არა მარტო ბუნებრივი ძალისა, არამედ პოლიტიკურის, ეკონომიკურისა და ჰუმანურის. სამწუხაროდ, ადამიანის გულგრილობა კიდევ უფრო უკიდურეს ფორმებს იძენს და შეუძლებელია, რომ ჩვენ, როგორც ქრისტიანები, ერთად არ დავუპირისპირდეთ ამ საგანგებო ვითარებას. ის ადამიანები, რომლებიც კაცთმოყვარეობას იჩენენ პავლესა და მის თანამგზავრთა მიმართ, ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ქრისტეს, მაგრამ მათი „დიდი კაცთმოყვარეობის“ წყალობით გაყოფილი ხალხი ერთიანდება. სტუმართმოყვარეობა ყოვლად აუცილებელი სათნოებაა ქრისტიანთა ერთობისათვის. ეს საქციელი გვაგულიანებს, უფრო მეტი

გულუხვობა გამოვიჩინოთ გაჭირვებულთა მიმართ ჩვენი, როგორც ქრისტიანების, ერთიანობა გამოვლინდება არა მხოლოდ სტუმართმოყვარეობით, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, არამედ მათ მიმართ გამოჩენილი კაცთმოყვარეობით, ვინც ჩვენს ენას, ჩვენს კულტურასა და ჩვენს რწმენას არ იზიარებს. ცხოვრების მშფოთვარე და საბედისწერო გზებზე სრულდება ღვთის ნება მისი ეკლესიისა და მთელი კაცობრიობისათვის. როგორც პავლე აცხადებს რომში, ღვთის ხსნა ყველასთვისაა (საქმე 28, 28).

კვირეულის შესახებ: დღე 1-ლი: შერიგება: გადაყარეთ ტვირთი ზღვაში. დღე მე-2: ნათელი: ეძიეთ და გამოავლენთ ქრისტეს ნათელი. დღე მე-3: იმედი: პავლეს სიტყვა. დღე მე-4: ნდობა: ნუ გემინია, ირწმუნე. დღე მე-5: ძალა: გატეხე პური სამოგზაუროდ. დღე მე-6: სტუმართმოყვარეობა: კეთილად მიიღე. დღე მე-7: მოქცევა: შეიცვალეთ გული და გონება. დღე მე-8: გულუხვობა: გაღება და მიცემა.

ვიმედოვნებთ, რომ 2020 წლის ლოცვის კვირეული ყველა მორწმუნეში და ყველა ეკლესიაში გააძლიერებს იმ შეგნებას, რომ უნდა ვიყოთ სტუმართმოყვარენი და ვილოცოთ, რათა კაცთმოყვარეობის გზით გაძლიერდეს ჩვენ შორის ზიარება, ღვთის სადიდებად.

ეკუმენური ლოცვა წელს აღესრულება 24 იანვარს, პარასკევს, ბაპტისტურ ეკლესიაში.



ისტორიის ახალი ფურცლები

ნუზარ ბარდაველიძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში არსებობის ორ ათასწლეულს ითვლის, თუმცა დღეს, როდესაც საქართველოში კათოლიკობაზე ვსაუბრობთ, ლათინური წესის ეკლესიას მოვიაზრებთ. ლათინური წესის კათოლიკობას ასევე ხანგრძლივი, ისტორიული ხდომილობებით დატვირთული, მდიდარი ისტორია გააჩნია. მართალია, სხვადასხვა დროს ჩვენს ქვეყანაში ლათინური წესის კათოლიკეები უმცირესობაში იყვნენ და ქვეყნის საერთო დემოგრაფიული მასშტაბით შეიძლება 1%-ზე მეტი არ ყოფილან, თუმცა ქალაქებსა და სამხრეთ რეგიონებში კათოლიკეთა პროცენტული

შემადგენლობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და კათოლიკეებს, როგორც ლათინური, ასევე სომხური წესის მიმდევრებს, განსაკუთრებული, გამორჩეული წვლილი შეჰქონდათ რეგიონში ქრისტიანობის შენარჩუნებაში, მეცნიერების, განათლებისა და მრეწველობის განვითარებაში. ადგილობრივი კათოლიკეები, გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოში კულტურისა და ევროპასთან ურთიერთობის ყველაზე გავლენიან მოთამაშედ გვევლინებოდნენ და საქართველოს მეფე-მთავრების ევროპული პოლიტიკის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ საქართველოს მტრების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კათოლიკური მისიონები წარმოადგენდა. რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში გატარებულ ანტიქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მისიონების გაუქმება და ქართულ ენაზე კათოლიკური მსახურების აკრძალვის მცდელობა იყო. რუსეთის იმპერიის ანტიკათოლიკური არსენალი სრულად გადმოიღო და კიდევ უფრო უკიდურესი ფორმა მისცა საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა, რომლის დროსაც კათოლიკეებმა წარმოუდგენლად დიდი



მასშტაბის რეპრესიები და შევინროება განიცადეს. სამწუხაროდ, ანტიკათოლიკური განწყობა ადვილად ვერ აღმოიფხვრა და ერთგვარი კონფესიური ატავიზმის სახით დამოუკიდებლობის პერიოდი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაშიც იჩენს თავს.

არცთუ იშვიათად, გვხვდება ზოგიერთი წელი, როდესაც გამორჩეულად ბევრი ისტორიული თარიღის თანხვედრა ხდება და საზოგადოებაც ამ გამორჩეულ წელს მრავალ მნიშვნელოვან საიუბილეო მოვლენას აღნიშნავს. ამ კუთხით, 2019 წელი მართლაც ღირსშესანიშნავი და უხვმოსავლიანი გამოდგა. გასულ წელსაც მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა საგანგებოდ აღინიშნა, ნაწილს, სხვადასხვა მიზეზთა გამო, საზოგადოების შედარებით ნაკლები ყურადღება ხვდა წილად. თუმცა ყოველი მოვლენა თავის გამორჩეულ ადგილს, ერთგვარ შეუცვლელ ნიშას იკავებს ქვეყნის ისტორიაში და მათ გარეშე ისტორიულ პროცესებს სხვაგვარი განვითარება ექნებოდა. ამიტომ ყოველი თარიღი უნიკალურია და მათი გახსენება ისტორიული პროცესის სრულყოფილ გააზრებაში გვეხმარება.

ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღების გათვალისწინებით, 2019 წელი მართლაც გამორჩეული გახლდათ საქართველოს ლათინური წესის კათოლიკეთათვის. ამ წელს **690 წელი** შესრულდა, რაც პაპმა იოანე XXII-მ საქართველოს მეფის, გიორგი ბრწყინვალეს თხოვნით, დააფუძნა თბილისის საეპისკოპოსო კათედრა და დანიშნა თბილისისა და ცხუმის (სოხუმის) ეპისკოპოსები. ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ისტორიის სასკოლო პროგრამაშიც არის შეტანილი.

თბილისის კათოლიკურმა ეპარქიამ მოქმედება უკვე 1330 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსები იოანე ფლორენციელი და პეტრე ჰერალდი საქართველოში ჩამოვიდნენ. პირველი კათოლიკე სასულიერო პირები ფრანცისკელთა ორდენის წევრები იყვნენ, რომლებიც ათიოდე წლით ადრე ჩამოსულან თბილისში.

390 წელი შესრულდა რომში, პაპის კურთხევითა და რწმენის კონგრეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის, ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემიდან.

350 წელი შესრულდა გორში კაპუცინთა მისიონის დაარსებიდან. 2020 წელს სრულდება 350 წელი ქუთაისის კაპუცინთა მისიის დაარსებიდან.

უახლეს ისტორიას თუ განვიხილავთ, რისი უშუალო თვითმხილველი და მონაწილე მრავალი ჩვენგანია, 2019 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნა: დედა ტერეზას გულმონყალების კონგრეგაციის თბილისის მისიის დაფუძნების **30-ე წლისთავი**, ასევე, ვალეს კათოლიკური საკრებულოს აღდგენისა და ოფიციალური რეგისტრაციის **30-ე წლისთავი**. ვალეს საკრებულოს აღდგენა უნიკალური მოვლენაა მთელ საბჭოურ სინამდვილეში, როდესაც 1921 წლიდან პირველად განხორციელდა ხელისუფლების მიერ დაკეტილი კათოლიკური საკრებულოს რეგისტრაცია. საქართველოში სამოციქულო ადმინისტრაციისა და კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის „საქართველოს კარიტასის“ დაფუძნების **25-ე წლისთავი**, თბილისის წმ. მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძრის კურთხევისა და მისი ქვეყნის მთავარ ანუ საკათედრო ტაძრად აღიარების

20 წლისთავი. ასევე, 2019 წელს შესრულდა წმინდა პაპის იოანე პავლე მეორის საქართველოში სტუმრობის **20 წლისთავი**. ამ ისტორიულ ვიზიტთან ორგანულად დაკავშირებულია პაპის მიერ სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს სამოციქულო ადმინისტრატორის, მამა ჯუზეპე პაზოტოსათვის კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსის მაღალი ტიტულის მინიჭება. 2000 წლის 6 იანვარს კი წმინდა პეტრეს ბაზილიკაში სამხრეთ კავკასიაში სამოციქულო ადმინისტრატორ მ. ჯუზეპე პაზოტოს წმ. პაპმა ხელი დაასხა და მუსტის (ჩრდილო აფრიკის, დღევანდელი ალჟირის, ტერიტორიაზე დაარსებული ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეპარქია) ტიტულოვან ეპისკოპოსად აკურთხა. ასე რომ, 2000 წლის დასაწყისიდან საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა და განვითარების ახალი ფურცელი გადაშალა. სამოციქულო ადმინისტრაციის მმართველმა ეპისკოპოსმა მეუფე ჯუზეპემ წმინდა საყდრის თანადგომით და საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდელმსახურთა თავდაუზოგავი მსახურებით, შეძლო, რომ კათოლიკე თემს, მიუხედავად არსებული მნიშვნელოვანი სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა, ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრებაში.

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნეს „საბას“ სარედაქციო კოლეგიის სახელით, გვსურს, ჩვენს სასიქადულო მეუფე ჯუზეპეს მიუზღოცოთ ეპისკოპოსად კურთხევის **20 წლისთავი** და ვუსურვოთ სულიწმინდის მადლით კვლავ დიდხანს ყოფილიყოს საქართველოს ლათინური წესის კათოლიკეთა მრევლის მწყემსმთავარი.



სამეცნიერო ინტერესთა სამიჯნაუმი

20 ნოემბერს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ეს სამეცნიერო ფორუმი წარმოადგენდა სამოციქულო ადმინისტრაციის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლის დამაგვირგვინებელ ღონისძიებას. ამ თარიღის აღნიშვნა გასული წლის დეკემბერში დაიწყო, მთელი წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო აქტივობა განხორციელდა: ჩატარდა კონფერენციები, შეხვედრები, ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ჟურნალი ფეიქრიშვილის, მანანა ქუთათელაძისა და ნუგზარ ბარდაველიძის წიგნები.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა ვაჟა ვარდიძემ, შემდგომ სტუმრებს

მიესალმნენ საქართველოში წმინდა საყდრის დესპანი არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, სამოციქულო ადმინისტრაციის ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. გამოსულმა მომსენებლებმა თავიანთ კვლევებში სრულად მიმოიხილეს ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ყველა საქმიანობა. კათედრასთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მ. პაატა ქომოშვილი, მ. აკაკი ჭელიძე, მ. მიხეილ სურმავა, მ. ზურაბ კაკაჩიშვილი, მ. გაბრიელ ბრატანტინი, პროფესორები მერაბ ღალანიძე, ირაკლი ჯავახიშვილი, ნუგზარ ბარდაველიძე.

მომსენებების შემდგომ დამსწრეთა წინაშე თავიანთი ახალი წიგნები წარმოადგინეს: მანანა ქუთათელაძემ - „კათოლიკობა საქართველოში, ლათინური წესი“, ჟურნალი ფეიქრიშვილი - „ზურაბიშ-

ვილების ცხოვრება - გზა სიკეთის მსახურებისა“; მარინა თუმანიშვილი - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. პარიზი 1900 წლის მსოფლიო გამოფენის 118 წლის შემდეგ“; ნუგზარ ბარდაველიძემ - „საქართველოში კათოლიკე ეკლესიის უახლესი ისტორიის ნარკვევები“.

კონფერენციის მეორე ნაწილი სადისკუსიო მაგიდას დაეთმო, რომლის თემაც გახლდათ „საქართველოს კათოლიკე ეკლესია და საზოგადოებრივი ალქმა“. მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ჟურნალისტი ლევან სუთიძე. კათოლიკური მხრიდან მონაწილეობდა მამა გაბრიელ ბრატანტინი, მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენდნენ მამა გურამ ოთხოზორია და მამა ლეონ გელოვანი, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას - პროფესორი მერაბ ღალანიძე და ემზარ ჯგერენაია.

ნოემბრის ბოლო კვირას, პო-

ლონეთის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის საბჭოური წარსულის კვლევების ლაბორატორიამ (ორგანიზაცია ორი ათას რვაას თანამშრომელს აერთიანებს და საბჭოური პერიოდის პოლიტიკის, უმთავრესად კი სახელმწიფო რეპრესიების ისტორიის კვლევებით არის დაკავებული) თბილისსა და თელავში ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობდნენ ვარშავის, ვროცლავის, კრაკოვის, ლუბლინისა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერები, რომლებიც საბჭოური რეჟიმის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე განხორციელებული რეპრესიების კვლევებით არიან დაკავებული.

სიმპოზიუმმა მუშაობა თბილისში დაიწყო ქართულ-პოლონური მეგობრობის ამსახველი გამოფენის წარდგენით, მეორე დღეს კი გაგრძელდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში, წმ. მონაწილე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმში, სადაც გაიხსნა პოლონეთში მოღვაწე ქართველი წმინდანის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა, რომლის ინიციატორი იყო ვარშავის უნივერსიტეტში უკვე 30 წლის განმავლობაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი დავით ყოლბაია. დამსწრე საზოგადოებას მისალმნენ: პოლო-

ნეთის ელჩი საქართველოში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები. მესამე დღე მთლიანად სამეცნიერო მოხსენებებს დაეთმო. საბჭოურ ეპოქაში საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიას, რეპრესიებს და კათოლიკე სასულიერო პირების თავდადებას შეეხებოდა ქართველი მკვლევარის, პროფესორ ნუგზარ ბარდაველიძის მოხსენება. გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონელ სტუმრებში და გადაწყდა აღნიშნული მოხსენებით მისი მიწვევა პოლონეთში მომავალ წელს დაგეგმილ „სოვლაბის“ მორიგ ფორუმზე. თავისუფალი დისკუსიის დროს პროფესორმა ნ. ბარდაველიძემ პოლონელ სტუმრებს მოუთხრო მათი სახელოვანი თანამემამულეების, წმ. პაპ იოანე პავლე მეორისა და პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სტუმრობაზე თბილისის კათოლიკურ ტაძრებში, პრეზიდენტის საჩუქარზე - ზარზე, რომელიც უკვე ეკურთხა და მომავალ წელს ახლად რესტავრირებული სამრეკლოდან მოუხმობს მორწმუნეებს წირვაზე და, ამავე დროს, იქნება პოლონეთისა და საქართველოს მეგობრობის ხილული სიმბოლო. დელაგაციის ხელმძღვანელმა, პოლონელმა პროფესორმა პაველ ლიბერამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პოლო-

ნეთში იგი გაეცნო ქართველი კათოლიკე მღვდლის მ. ზურაბ კაკაჩიშვილის პოლონურ ენაზე გამოცემულ წიგნს „ქართველი წმინდანები“ და აღფრთოვანებულია ამ კვლევით. სამწუხაროდ, დროის სიმცირისა და გადატვირთული გრაფიკის გამო, პოლონელმა სტუმრებმა ვერ შეძლეს თბილისის კათოლიკური ტაძრების მონახულება და ეს მისია მომავალი ვიზიტის ფარგლებში გადაიტანეს.

სიმპოზიუმის მონაწილეებს შორის საოცრად მალე დამყარდა თბილი, მეგობრული ატმოსფერო, ეს არც არის გასაკვირი, ქართველებსა და პოლონელებს მართლაც ბევრი გვაქვს საერთო უკანასკნელი 200 წლის მანძილზე: რუსულ ცარიზმთან და საბჭოურ რეჟიმთან შეურიგებელი, თავგანწირული ბრძოლა, თბილისში არსებული პოლონური თემის არსებობა, პოლონეთში მოღვაწე ქართველი წმინდანი მ. გრიგოლ ფერაძე, რომლის სახელზე ვარშავაში მოქმედებს მართლმადიდებლური ტაძარი, ისტორია თბილისის კათოლიკური ტაძრებისა, სადაც პოლონური თემა საკმაოდ აქტუალური და მრავალფეროვანია და, რაც მთავარია, დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ.

„საბას“ სპეციალური
კორესპონდენტი





დიპლომი ქრისტიანული ფილმისთვის

რეპორტაჟმა „საქართველოს კათოლიკეები“ მიიღო დიპლომი ქრისტიანული კინოს „ნევის კეთილი უწყება“ XIII საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც მიმდინარეობდა 18-24 ნოემბერს სანკტ პეტერბურგში.

შვიდნუთიანი სიუჟეტი კათოლიკური თემის შესახებ საქართველოში 2019 წლის თებერვალში გადაიღო პეტერბურგელმა რეჟისორმა და ჟურნალისტმა მიხაილ ფატეევმა, პროდიუსერი ვალეს ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი მამა მიხეილ სურმავაა. რეპორტაჟის ავტორის სიტყვით, მისი ძირითადი მიზანი იყო დაეახლოვებინა რუსეთის კათოლიკეები ამ ბრწყინვალე, მრავალფეროვან და თვითმყოფად ეკლესიასთან. „მიუხედავად ჩვენს ქვეყნებსა და პოლიტიკოსებს შორის დაძაბული ურთიერთობისა, რიგით რუსებსა და ქართველებს (განსაკუთრებით კათოლიკეებს) აერთიანებს ერთი რწმენა, საერთო ისტორია და დღევანდელი რეალობაც კი. სწორედ რწმენისა და კულტურის ამ კავშირის შენარჩუნებით, ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ერთობა და მივითმანოთ მშვიდობა იქ, სადაც მეფობს მტრობა. სწორედ მშვიდობისმყოფელნი იწოდებიან ღვთის შვილებად“, - ამბობს მიხაილ ფატეევი.

დღესაც კი კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ველოში რუსეთთანაა დაკავშირებული. სანკტ პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა ზოგიერთი ქართველი მღვდელი, რუსეთში მღვდელმსახურებას ეწეოდა რიგი მღვდლებისა, რომლებიც ახლა ჩვენს ქვეყანაში მსახურობენ.

რეპორტაჟი „კათოლიკეები საქართველოში“ გადაღებულ იქნა რუსულ ენაზე, მაგრამ საკმაოდ მალე გამოვიდა მისი ქართული ვერსია. ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეცნო თანამემამულეთათვის ჩვენი ეკლესიისადმი კეთილგანწყობილ ადამიანთა ხედვა.

ქრისტიანული კინოს „ნევის კეთილი უწყება“ საერთაშორისო ფესტივალის ყოველწლიურად იმართება სანკტ პეტერბურგში. 2019 წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სამოცდაათზე მეტი დოკუმენტური ფილმი ათი ქვეყნიდან. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში შედიან რუსეთის მართლმადიდებელი, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები. რუსეთში ეს ერთადერთი ფესტივალია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ყველა ტრადიციული ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები.

მიხაილ ფატეევი
მღვდელი მიხაილ სურმაა



წიგნის პრეზენტაცია „კათოლიკობა საქართველოში ლათინური წესი“

თქვენო აღმატებულებანო,
სამოქალაქო ხელისუფალნო,
აკადემიური და კულტურის
სფეროების წარმომადგენელნო,
გამორჩეულო სტუმრებო,
ქალბატონებო და ბატონებო,



პატივი მაქვს რამდენიმე სიტყვით მოგმართოთ წიგნის პრეზენტაციასთან დაკავშირებით, რომლის სათაურიც გახლავთ „კათოლიკობა საქართველოში“. ეს არის პირველი წიგნი მომავალ გამოცემათა სერიისა, რომლის თითოეული წიგნიც მიეძღვნება საქართველოში ფესვგადგმულ სხვადასხვა რელიგიურ თუ კულტურულ ტრადიციას, ანუ თითოეული მათგანი მოგვითხრობს სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ტრადიციების მქონე ქართველთა შესახებ.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში წარმოდგენილია სამი რელიგიური წესით - ლათინურით, სომხურითა და ასირიულ-ქალდეურით. სამივე წესი ნაწილია ერთიანი რომის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა. წინამდებარე წიგნი ძირითადად ფოკუსირებულია ლათინურ ტრადიციაზე, რადგან იგი თვალნათლივაა წარმოდგენილი საქართველოს მოსახლეობასა და ქართულ რეალობაში. იმედია, მომავალი გამოცემები სხვა კათოლიკურ ტრადიციებსაც მიეძღვნება.

წიგნში წარმოდგენილი საარქივო მასალები მოგვითხრობენ კათოლიკური რწმენით შთაგონებულ და მოტივირებულ ქართველთა ცხოვრებაზე, მათ ურთიერთობებზე, პრობლემებსა თუ მიღწევებზე. წიგნი ცოცხლად და ხატოვნად გვიაშბობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის კათოლიკეებზე, იმაზე, თუ როგორ მშვიდობიანად და სხვებთან ჰარმონიაში ცხოვრობდნენ კათოლიკეები, როგორ მონაწილეობდნენ ქვეყნის შენებაში, როგორ იცავდნენ ქართულ ენას, ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას, წვლილი შეჰქონდათ განათლების სფეროსა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, ავითარებდნენ და მსოფლიო დონეზე აჰყავდათ ქართული ხელოვნება

და კულტურა, თავიანთ ღვაწლს დებდნენ ქართული ფასეულობების დამკვიდრებასა და დემოკრატიის მშენებლობაში, და, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტეგრაციისთვის ევროპულ ერთა ოჯახში, მით უმეტეს, რომ კათოლიკე ეკლესია ყველაზე დიდი ინსტიტუტია ევროპაში.

კათოლიკე ეკლესია, თავისი 2000-წლოვანი ისტორიითა და მთელ დედამიწაზე მცხოვრები 1,3 მილიარდი მიმდევრით, მოიცავს ადამიანური ურთიერთობების ყველა ასპექტს მსოფლიოში. წმიდა საყდრის დიპლომატიისა და სოციალური მოღვაწეობის გზით, თავისი ჯანდაცვისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით, კათოლიკე ეკლესია ცდილობს განამტკიცოს ადამიანის ღირსება და ყოველმხრივი განვითარება. იგი მთელი კაცობრიობის სამსახურშია.

დღეს წარმოდგენილი წიგნი „კათოლიკობა საქართველოში“ გვიაშბობს, თუ როგორ ამკვიდრებდნენ საუკუნეების მანძილზე ამ ფასეულობებსა და იდეალებს ქართველი გმირები იმ უძველეს ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ეწოდება.

მსურს მადლობა მოვასხენო ქალბატონ მანანა ქუთათელაძეს და მის გუნდს, თავდადებულ მკვლევარებს, მწერლებსა თუ მიმომხილველებს განეული უდიდესი შრომისთვის, იმ წვლილისთვის, რომელიც მათ შეიტანეს ჩვენი ფაქტობრივი ცოდნის გამდიდრებაში, ქვეყნის კულტურულ განვითარებაში და, განსაკუთრებით, საქართველოს კუთხეებსა თუ ხალხებს შორის ერთიანობის განმტკიცებასა და მთელი დიადი ქართველი ერის წინსვლაში.

არქივისპოვოსი ჟოზე აველინო პატენჯური
წმ. საყდრის ელჩი საქართველოში
(თბილისი, 13.XI.2019)



მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის სავარდით ლოცვის ინოვაციური საშუალება.

2019 წლის 15 ოქტომბერს რომის პაპის მსოფლიო ლოცვების ქსელმა ვატიკანში კონფერენციაზე წარმოადგინა „Click to Pray eRosary“.

რა არის ეს?

ERosary Click To Pray - ეს ინტერაქტიული, ჭკვიანი და აპლიკაციით მართვადი სატარებელი მოწყობილობაა, კომპანია Gadgetek Inc-თან ერთობლივად შემუშავებული. (GTI)/Acer-ი არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ვსწავლობთ, როგორ ვილოცოთ სავარდით მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ის შეგვიძლია ვატაროთ როგორც სამაჯური და გავააქტიუროთ, მივიღოთ ჯვრის ნიშანი. იგი სინქრონიზებულია იმავე სახელწოდების უფასო აპლიკაციასთან, ხელმისაწვდომია iOS-ზე და Android-ზე, რომელიც დაგვაკავშირებს აუდიოგიდთან, ექსკლუზიური გამოსახულებით და სავარდის ლოცვის პერსონალიზებული შინაარსით.

Click to Pray eRosary-ი, მიმართული ციფრული სამყაროს პერიფერიულ საზღვრებზე, სადაც ცხოვრობენ ახალგაზრდები, უნდა ემსახუროდეს ტექნოლოგიურ სასწავლო სახელმძღვანელოს, რათა დაეხმაროს ახალგაზრდებს მშვიდობისათ-

ვის ლოცვაში და სახარებაზე ფიქრისას. პროექტი აერთიანებს ეკლესიის საუკეთესო სულიერ ტრადიციებსა და ტექნოლოგიური სამყაროს უახლეს მიღწევებს.

მოწყობილობა, რომელიც ფიზიკურად ხელმისაწვდომია (შეკვეთით 110\$), შედგება ათი შავი აქატიისა და ჰემატიტის მძივისაგან და, ასევე, „ჭკვიანი“ ჯვრისგან, რომელშიც შენახულია მონაცემები. იმისათვის, რომ გავააქტიუროთ მობილური აპლიკაცია, საკმარისია, ჯვარი სმარტფონის ეკრანთან ახლოს მივიტანოთ. აქტივაციისას მომხმარებელს საშუალება აქვს ამოირჩიოს - ილოცოს ტრადიციული სავარდით, მჭვრეტელობითი სავარდით თუ სხვადასხვა სახის თემატური სავარდით, რომელიც ყოველწლიურად განახლდება. ლოცვის დაწყებისას ჭკვიანი სავარდი აჩვენებს მომხმარებლის წინსვლას ლოცვის ყოველი საიდუმლოდან და თვალყურს მიადევნებს ყოველი სავარდის დასრულებას.

უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ კრიალოსანი!

გარდა ყოველდღიური ლოცვისა, მოწყობილობას აქვს ფიზნეს-სამაჯურის ფუნქციები - ინერს და აჩვენებს თქვენი ჯანმრთელობის მონაცემებს, რათა წაგაქეზოთ უკეთესი ცხოვრების წესის ასარჩევად. აპლიკაციაში შეიძლება თვალი მიადევნოთ: დამწვარ კალორიათა რაოდენობას, განვლილ კოლომეტრებს და სხვა პარამეტრებს.

ეს ჭკვიანი სავარდი წარმოადგენს „Click To Pray“-ის ნაწილს, რომის პაპის (სადაც ფრანცისკეს აქვს თავისი პირადი პროფილი) მსოფლიო ლოცვების ქსელის ოფიციალურ ლოცვის აპლიკაციას, რომელიც აერთიანებს ათასობით ადამიანს მთელ მსოფლიოში ყოველდღიური ლოცვისათვის. Click to Pray eRosary-ის ინიციატივის მიზანია იყოს პონტიფექსის თანმხლები მის ყოველდღიურად და ყოველთვიურად განზრახულ ლოცვებში, რომელთაც პაპი, ასევე, სთავაზობს მორწმუნეებს.

Vatican News-ისა და Engadget-ის
მასალების მიხედვით
თარგმან პარიკო ნოზაჰაჰა





ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

27-30 დეკემბერი, 2019

წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივნის კარდინალ პიეტრო კაროლინის
ვიზიტი საქართველოში


1 იანვარი	—	ღვთისმშობლობა, დიდღესასწაული; მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე
6 იანვარი	—	ღვთის გაცხადება, დიდღესასწაული
10-12 იანვარი	—	ძველით ახალი წლის მოლოდინში, „ქრისტე ცოცხალია,“ წიგნის პრეზენტაცია ხიზა-ბავრაში (ასპინძა)
12 იანვარი	—	უფლის ნათლისღება, დღესასწაული
13 იანვარი	—	იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)
18-25 იანვარი	—	ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
24 იანვარი	—	16.00 სთ-ზე, ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვა ბაპტისტურ ეკლესიაში
25 იანვარი	—	წმ. პავლეს მოქცევა, არალში მეშურნეთის ეკლესიის დღეობა
27 იანვარი	—	წმ. ნინოს დიდღესასწაული, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მფარველი; წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი
27 იანვარი	—	15.00 სთ-ზე, არლის წმ. იოსების სახ. ეკლესიაში დიაკვნად იკურთხება სემინარისტი თამაზ აფრამაშვილი
28 იანვარი	—	მღვდლების მორიგი შეხვედრა ეპისკოპოსთან
31 იანვარი	—	წმ. იოანე ბოსკო, სალელთა კონგრეგაციის დამაარსებელი

ჟურნალ „საბას“ რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის წარმომადგენელს კოტე აკოფაშვილს ფოტომასალის მოწოდებისათვის.

განსვენება საუკუნო მიაწიჭე მათ, უფალო!




ჯაბა აკლაბიძე-
ოგოლაშვილი
* 01.04.1938, უდე
† 20.08.2019, ახალციხე



ავთანდილ მერაბიშვილი
* 03.02.1938, უდე
† 23.08.2019, უდე




მარიამ აკლაბიძე-
ვალიაშვილი
* 03.08.1924, ხიზაბავრა
† 14.09.2019, ხიზაბავრა



ინა გოგიანი
* 31.07.1934, თბილისი
† 13.10.2019, თბილისი



დიმიტრი (მიტუა)
სარქისიანი
* 16.02.1930, შრომა
† 13.10.2019, შრომა



კეთევან თათოშვილი
* 08.05.1931, ადგიწი
† 16.10.2019, უდე

მთავარი რედაქტორი: მამა გაბრიელ ბრეგანტინი

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ლაღანიძე, ციცილო ხითარიშვილი
თქმნიკური მხარდაჭერა: მამა მიხეილ სურმაგა, თამარ სტეფანაძე

მისამართი: ჟურნალ „საბას“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №6 0105, თბილისი, საქართველო;

E-mail: saba.jurnali@gmail.com; www.onlinesaba.com; www.facebook.com/onlinesaba/

რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.

